FROM THE HISTORICAL GEOGRAPHY OF THE DALI VALLEY[1]
დალის ხეობის ისტორიული გეოგრაფიიდან[2]

BEZHAN KHORAVA
PhD in History,
The University of Georgia, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0001-2345-6789
+99559927214; bxorava@ug.edu.ge

KETEVAN MARGIANI
PhD in Philology,
Associate Professor, Sokhumi State University
Tbilisi, Georgia
ketevan.margiani@iliauni.edu.ge
ORCID: 0009-0000-0229-5752
+995577963825; ketevan.margiani@iliauni.edu.ge

RUSUDAN IOSELIANI
PhD in Philology,
Visiting Professor, Ilia State University,
Tbilisi, Georgia
ORCID: 0009-0008-6895-6005
+995 599718272; rivseliani@gmail.com

ROMAN MAISURADZE
PhD in Geography,
Visiting Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0001-9583-7142
+995595523831; romani.maisuradze@tsu.ge

Abstract. The study of the historical-ethnographic/historical-geographical parts of Georgia is a pressing issue for Georgian historical science. In modern Georgian historiography, it is well understood that in order to write a more or less complete history of the country, it is necessary to study every corner of it in detail. Academician Niko Berdzenishvili pointed out that the study of the history of Georgia should begin with local regions, where its full study should be carried out through systematic, thorough

[1] The research was carried out within the framework of a grant from the Shota Rustaveli National Science Foundation (№ OTG-I-24 -160).

[2] კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (№ OTG-I-24 -160) ფარგლებში.

research, which would create the opportunity to clarify historical processes that have not yet been studied. This work is precisely this type of research.
Kodori is one of the largest rivers of Abkhazia, a historical and geographical province of Georgia. The historical region of Tsebeli was located in the middle part of the Kodori Gorge, and Dali in the upper part. The latter is also called the Dali Valley. The work examines the upper part of the Kodori Valley, the historical community of Dali, the historical-physical, historical-political and historical-economic geography of this region from a historical-geographical point of view. The work discusses nature, relief, hydrography, orography, historical geography of populated areas, geography of historical fortifications, church geography, historical ways, historical toponymy and other issues of the valley. The work establishes historical routes, the river network and the etymology of large rivers, the etymology of oikonyms, the peculiarities of agriculture, the causes of ethnopolitical changes, and other issues related to the history of the Dali region.

Key words: Georgia; Abkhazeti; riv. Kodori; Kodori Valley; Dali; Ajara; Lata.

ბეჟან ხორავა
ისტორიის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ
ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0001-2345-6789
+99559927214; bxorava@ug.edu.ge

ქეთევან მარგიანი
ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0000-0229-5752
+995577963825; ketevan.margiani@iliauni.edu.ge

რუსუდან იოსელიანი
ფილოლოგიის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული
პროფესორი, თბილისი, საქართველო
ORCID: 0009-0008-6895-6005
+995 599718272; rivseliani@gmail.com

რომან მაისურაძე
გეოგრაფიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი,
თბილისი, საქართველო
ORCID: 0000-0001-9583-7142
+995595523831; romani.maisuradze@tsu.ge

აბსტრაქტი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული//ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების შესწავლა ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის გააზრებული, რომ ქვეყნის მეტნაკლებად სრულყოფილი ისტორიის დასაწერად აუცილებელია მისი თითოეული კუთხის დაწვრილებითი შესწავლა. აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოს ისტორიის შესწავლა უნდა დაიწყოს ლოკალური რეგიონებიდან, სადაც სისტემური, დაწვრილებითი კვლევების მეშვეობით უნდა მოხდეს მისი სრულყოფილი შესწავლა, რაც ჯერ შეუსწავლელი ისტორიული პროცესების გაშუქების შესაძლებლობას შექმნის. ასეთი სახის კვლევას წარმოადგენს წარმოდგენილი ნაშრომი.

კოდორი საქართველოს ისტორიული პროვინციის, აფხაზეთის, ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა. კოდორის ხეობის შუა ნაწილში მდებარეობდა ისტორიული მხარე წებელი, ხოლო ზემო ნაწილში – დალი. ამ უკანასკნელს დალის ხეობასაც უწოდებენ. ნაშრომში ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლილია კოდორის ხეობის ზემო ნაწილი, ისტორიული დალის თემი, ამ მხარის ისტორიულ-ფიზიკური, ისტორიულ-პოლიტიკური, ისტორიულ-ეკონომიკური-გეოგრაფია. ნაშრომში განხილულია ხეობის ბუნება, რელიეფი, ჰიდროგრაფია, ოროგრაფია, დასახლებული პუნქტების ისტორიული გეოგრაფია, ისტორიულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა გეოგრაფია, საეკლესიო გეოგრაფია, ისტორიული გზები, ისტორიული ტოპონიმია და სხვა საკითხები. ნაშრომში დადგენილია ისტორიული გზები, მდინარეთა ქსელი და დიდი მდინარეების ეტიმოლოგია, ოიკონიმების ეტიმოლოგია, მეურნეობის თავისებურებები, ეთნოპოლიტიკური ცვლილებების მიზეზები და დალის ხეობის ისტორიასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი; მდ. კოდორი; კოდორის ზემო წელი; დალი; აჟარა; ლათა.

შესავალი. ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ხეობების ისტორიის შესწავლა. ხეობა (ხევი) უძველესი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო, რომელიც მოგვიანებით თემმა შეცვალა. ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ნაკლებად არის შესწავლილი კოდორის ხეობის ზემო ნაწილი, დალი. ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ემყარება სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროების, მათ შორის, წერილობითი საისტორიო წყაროების, კარტოგრაფიული და ლინგვისტური მასალების კრიტიკულ შესწავლასა და ანალიზს. უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორები წლების განმავლობაში, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2008 წლის ჩათვლით, საველე პირობებში აქტიურად ეწეოდნენ ისტორიულ-გეოგრაფიული და ლინგვისტური მასალების შეკრებას, ხოლო შემდეგ საისტორიო წყაროების, მათ შორის საარქივო მასალების კვლევას და დამუშავებას.

კოდორის ხეობის ზემო ნაწილის, დალის თემის შესახებ XIX საუკუნის მიწურულამდე ბევრი არაფერი იყო ცნობილი. რუსეთის იმპერიის მფლობელობის პერიოდის მხარის ისტორიის შესახებ მასალები დაცულია არქივებში. ამ მასალების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია ,,კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში“, ხოლო XX საუკუნის მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობები, დაცულია იმ პერიოდის ქართულ და რუსულ პრესაში. 1880 წლის ზაფხულში, ინჟინერმა ანდრეი დალმა სოხუმიდან კოდორის ხეობის გავლით, ყუბანის ოლქთან დამაკავშირებელი სამხედრო გზის პროექტის შედგენის მიზნით შემოიარა ეს მხარე. შემორჩენილია მის მიერ ამ მიზნით შედგენილი მხარის გეოგრაფიული აღწერა.

შემდეგ უკვე, 1926 წლის ზაფხულში, ექიმმა იოსებ ასლანიშვილმა სამეცნიერო-სამედიცინო ექსპედიციის ფარგლებში იმოგზაურა ამ მხარეში. მის მიერ შედგენილი მხარის აღწერა ამ მიკრორეგიონის შესასწავლად უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა. 1933 წელს ეთნოლოგი ვერა ბარდაველიძე, ხოლო 1938 წელს ენათმეცნიერი მერი გუჯეჯიანი, იმყოფებოდნენ დალის ხეობაში სამეცნიერო ეთნოგრაფიული და ლინგვისტური ექსპედიციებით. შემორჩენილია ვ. ბარდაველიძის ფრაგმენტული ჩანაწერები და მ. გუჯეჯიანის სამეცნიერო ანგარიში, რომელიც ხეობის ისტორიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა. კოდორის ხეობის, მათ შორის დალის თემის ისტორიის საკითხების შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამ ნაშრომის თანაავტორების – ბ. ხორავას, ისტორიასა და ისტორიულ გეოგრაფიაში, ხოლო მხარის ტოპონიმიის შესწავლის თვალსაზრისით – ქ. მარგიანის პუბლიკაციები. ნაშრომში გათვალისწინებულია ამ მხარის შესახებ არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა.

მეთოდები

ნაშრომი წარმოადგენს ინტერდისციპლინარულ კვლევას. იგი ემყარება საისტორიო წყაროების, მათ შორის საარქივო მასალების, აგრეთვე ავტორების მიერ წლების განმავლობაში საველე მუშაობის შედეგად შეკრებილი მასალების, ასევე სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს. ნაშრომში გამოყენებულია თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებული მეთოდები, მათ შორის, ისტორიული შემეცნების, სისტემური, კომპლექსური, ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზურ-სინთეზური, დაკვირვების სტატისტიკური, რეტროსპექტული ანალიზის; წყაროების გამოვლენის, შერჩევის, კრიტიკული ანალიზის და ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებული სხვა მეთოდები. წარსულის სურათის აღდგენისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია კარტოგრაფიული მასალები, ამიტომ გეოგრაფიის საკითხების კვლევისას გამოყენებულია გეოგრაფიის და კარტოგრაფიის მეთოდები; გეოგრაფიული სახელწოდებების ეტიმოლოგიის კვლევისას – ლინგვისტური მეთოდი.

შედეგები

კოდორის ხეობაში მდებარეობს ორი ისტორიული მხარე – კოდორის შუა წელში წებელი, ხოლო ზემო წელში – დალი. ნაშრომში შესწავლილია დალის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, როგორიცაა ისტორიულ-ფიზიკური, ისტორიულ-პოლიტიკური და ისტორიულ-ეკონომიკური გეოგრაფია, მათ შორის: ხეობის ბუნება, რელიეფი, ჰიდროგრაფია, ოროგრაფია, დასახლებული პუნქტების ისტორიული გეოგრაფია, ისტორიულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა გეოგრაფია, საეკლესიო გეოგრაფია, ისტორიული გზები, ისტორიული ტოპონიმია. ნაშრომში დადგენილია ისტორიული გზები, მდინარეთა ქსელი და დიდი მდინარეების ეტიმოლოგია, ოიკონიმების ეტიმოლოგია, მეურნეობის თავისებურებები, ეთნოპოლიტიკური ცვლილებების მიზეზები და ხეობის ისტორიასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

მსჯელობა

აფხაზეთში, მდ. კოდორის ზემო წელში მდებარეობს ისტორიული მხარე დალი, რომელსაც აფხაზეთის სვანეთსაც უწოდებენ.

გეოგრაფიულად დალი მკაფიოდ შემოსაზღვრული მხარეა. ჩრდილოეთით მას საზღვრავს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის მონაკვეთი, რომელსაც პირობითად *აფხაზეთის კავკასიონს* ეძახიან (მისი ერთი მონაკვეთი მარუხის მთიდან გვანდრას მთამდე);

ჩრდილო-დასავლეთით კავკასიონის მთავარი ქედის გვერდითი შტო – ჩხალთის ქედი, ხოლო აღმოსავლეთით – აფხაზეთ-სვანეთის ქედი, რომელიც ზემო სვანეთიდან მიჯნავს; სამხრეთით – კოდორის ქედი; დასავლეთით, საკუთრივ კოდორის ხეობაში, ბაგადის კლდე მიჯნავს, სადაც მას ისტორიული მხარე წებელი ესაზღვრება (ასლანიშვილი, 1933: 10,14).

სახელწოდება ,,დალი", გავრცელებული მოსაზრებით, სვანური ნადირობის ღვთაების სახელიდან მომდინარეობს და ,,დალის საუფლოს" ნიშნავს. პირველად ეს მოსაზრება დაფიქსირებულია ექიმ დომენტი პაკელიანის საგაზეთო წერილში (პაკელიანი, 1937). მხარის სახელწოდება ,,დალი", ,,დალის თემი", ,,დალის ხეობა" საისტორიო წყაროებში დამოწმებულია XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან (Нордман, 2020: 67; Даль, 1882: 178).

კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემზე, კოდორის აფხაზეთის ფარგლებში, ძირითადი მწვერვალებისა და უღელტეხილების თანმიმდევრობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ შემდეგია: უღ. მარუხი (2746 მ), მ. ყარაყაია (3893 მ), მ. მარუხბაში (3798 მ), მ. ერწახვი (3910 მ), მ. ალიბეკი (3868 მ), მ. საფრიჭა (3785 მ), მ. ბელალაყაია (3921 მ), უღ. დომბაიულგენი (3006 მ), მ. დომბაიულგენი (4048 მ), მ. ხოკელი (3646 მ), უღ. ქლუხორი (2781 მ), უღ. ნაჰარი (2880 მ), უღ. გვანდრა (2950 მ), მ. გვანდრა (3985 მ). მთავარი ქედის სამხრეთ შტოქედებზე, აფხაზეთის ფარგლებში, ამართულია მ. დიდი ხუტია (3544 მ), მ. პატარა ხუტია (3280 მ), მ. კლიჩის ხერხი (3271 მ) და სხვ. (მარუაშვილი, 1964: გვ. 120-121). კოდორის ზემო წელის აუზში მრავალი ტბაა. მათ შორის აღსანიშნავია კოდორის ქედზე მყინვარული წარმოშობის ადუედა-აძიჟი (ზ. დ. 2410 მ), ჩხალთის ქედზე – გორაფი (ზ. დ. 2762 მ), ტოპი, ჯუგი და სხვ.

დალის ხეობა

დალი მდინარე კოდორისა და მისი შენაკადების ხეობებშია გაშლილი. დალის სოფლები მდ. კოდორისა და მისი სათავეების – საკენისა და გვანდრის ნაპირებზეა განლაგებული. საკენის ხეობის ყველაზე მაღალი სოფელია საკენი, მის ქვემოთ მდებარეობს სოფ. ომარიშარა. მდინარე გვანდრის ხეობაში გაშენებულია სოფ. გვანდრა, ჩხალთის ხეობაში – მარჯვენა პტიში და მარცხენა პტიში, საკუთრივ მდ. კოდორის ნაპირებზე კი სოფლები: მარჯვენა გენწვიში და მარცხენა გენწვიში, ზემო აჟარა და ქვემო აჟარა, ჩხალთა, შაბათკვარა, ქვაბჩარა, ქვემო ლათა და ზემო ლათა.

კოდორი იქმნება მდინარეების – გვანდრისა და საკენის შეერთებით სოფ. მარცხენა გენწვიშთან, ზ. დ. 740 *მ*-ზე და შავ ზღვას ერთვის სოფ. აძიუბჟას სამხრეთით, შესართავთან აჩენს დელტას. მისი სიგრძეა 84 *კმ* (გვანდრის სათავიდან 110 *კმ*), აუზის ფართობი 2030 კმ². საზრდოობს წვიმის (31,0%), მიწისქვეშა (28,6%), თოვლის (22,6%) და მყინვარული (17,8%) წყლებით. წყალდიდობა იცის მარტის მეორე ნახევრიდან სექტემბრის ბოლომდე. კოდორი წყალუხვი მდინარეა. წლიური ჩამონადენის 72% გაზაფხულ-ზაფხულზე მოდის. წყალმოვარდნები იცის შემოდგომაზე, წყალმცირობა – ზამთარში. დალის ფარგლებში მისი მთავარი შენაკადებია ჩხალთა და მრამბა (მარუაშვილი, 1964: 121; აფხაზავა, 2023: 106-107).

,,კოდორი" დატანილია ტიმოთე გაბაშვილის 1737 წლის დასავლეთ საქართველოს და ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758) რუკებზე, მოხსენიებულია ამ უკანასკნელის ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა". ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მდ. კოდორის სახელწოდება ამავე სახელწოდების დასახლებული პუნქტის სახელიდან მომდინარეობს, რომელიც მის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა: ,,მოქვის მდინარის დასავლით დის კოდორის მდინარე ... მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში" (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 782). ნიშანდობლივია, რომ სოფელი კოდორი სკოტორის ფორმით ბიზანტიელ ავტორთან, თეოდოსი განგრელთან (VII ს.) იხსენიება (თეოდოსი განგრელი, 1941: 42). აფხაზებმა მდინარე კოდორს უწოდეს ,,კუდრ", რაც არც ერთ საისტორიო წყაროში არ ფიქსირდება.

სახელწოდება ,,კოდორი" ქართულია, როგორც ფუძე სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით, თუმცა მის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. თ. მიბჩუანი მას სვანურ კადარ-ს („მშრალი") უკავშირებს და მის ზანიზებულ ვარიანტად მიიჩნევს (მიბჩუანი, 1989: 131-132). მიუხედავად ძირეული ხმოვნის სიგრძის პრობლემისა, ,,კოდორი" ადრეული კვლევებით, მიჩნეულია სვანური სკოოდი („ღრმა") ლექსემიდან მომდინარედ, თავკიდური თანხმოვნის დაკარგვითა და -ორ ტოპოფორმანტით წარმოქმნილად (მარგიანი, 1998; ჭუმბურიძე, 2007). ი. ჩანტლაძემ მდინარის სახელი ქართულ ნაკადულს (კოდორი< ნა–კად–ულ–ი) დაუკავშირა (ჩანტლაძე და სხვ. 2010: 17-18). ბოლო პერიოდის კვლევებით ,,კოდორი" ეტიმოლოგიურად სვანურ კვედ-ს (სვან. „წყარო/წყლის პატარა, გაუდინარი აუზი") დაუკავშირდა (მარგიანი, 2017: 175-180). სემანტიკური თვალსაზრისით, სვანური ფონოტაქტიკის წესებისა და ქართველური ონომასტიკური კანონზომიერებების გათვალისწინებით, ასეთ ეტიმოლოგიას არავითარი წინააღმდეგობა არ ახლავს. შესაბამისად, დალის ხეობის ძირითადი მდინარის სახელი ეტიმოლოგიურად სვანურ კვედს – „წყარო, აუზი", – უკავშირდება.

კოდორის ერთ-ერთი მდგენელი, მდინარე გვანდრა, სათავეს იღებს აფხაზეთის კავკასიონზე, მწვერვალ გვანდრის სამხრეთ კალთაზე, 2370 მ სიმაღლეზე. მწვერვალი გვანდრა, რომლის სიმაღლე 3985 მ-ია, მდინარეების გვანდრისა და უჩკულანის, ყუბანის მარცხენა შენაკადის, წყალგამყოფია. გვანდრის სათავეებიდან საუღელტეხილო გზა, უფრო ზუსტად,

ბილიკი გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. ყუბანის ერთ-ერთი მდგენელის უჩკულანის ხეობაში. უღელტეხილსაც ასევე გვანდრა (2950 მ) ეწოდება. იგი მოქცეულია თოვლისა და მყინვარების ზონაში. აფხაზეთის კავკასიონზე მდებარეობს ხეობური მყინვარი გვანდრა, რომლის სიგრძეა 1,3 კმ, ფართ. 0,6 კმ². მყინვარის ენა 2730 მ სიმაღლემდე ეშვება და მდ. გვანდრას ასაზრდოებს (გვანდრა, 1978: 132).

წარმომავლობით ,,გვანდრა“ სვანურ სიტყვას, არქაულ ლექსემას (გვალ – „ბაგა, ბოსელი“) უკავშირდება. სოფელი გვანდრა მთის კალთებზეა შეფენილი სოფელ ომარიშარის (სვან. ომარიშალი) მახლობლად, იქვე ჩამოედინება მდინარე გვანდრა (გვანდრალა), რომელიც სათავეს იღებს გვანდრის მთებიდან, უერთდება მდინარე საკენს (სვან. საკნარა) და ქმნის მდინარე კოდორს. საინტერესოა პარალელები სვანეთის ტოპონიმიიდან: „გვალდ-ერ–ი, სოფელი ზემო სვანეთში, გვალ–და, მთა მესტიასა და მულახს შორის, საიდანაც სათავეს იღებს პატარა მდინარე გვალ–დ–ირი. ყველა ამ ტოპონიმის ფუძედ გამოიყოფა გვალ, რაც სვანურად „ბოსელს“ ნიშნავს. მისი კნინობითია გვალ–და, საიდანაც ერ ალომორფის დართვით წარმოქმნილია სოფლის სახელი გვალდერი, -ირ ალომორფის დართვით კი – მდინარის სახელი გვალდირი (ჭუმბურიძე, 2007: 29). დალის ხეობის ტოპონიმი გვანდრა, სწორედ, სვანური გვალ ლექსემიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს: გვანდრა< გვალდ < გვალ. სონანტთა (ნარნარა) ნ და მ თანხმოვანთა მონაცვლეობა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პროცესია. სეგმენტაცია ტოპონიმისა გვანდრა: გვან–დ–რა, სადაც გვან<გვალ არის ძირი, -დ კნინობითობისაა, -რა საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სვანური ტოპოფორმანტია. აღსანიშნავია, რომ დალის ხეობისა და სვანეთის მდინარეების სახელების გარკვეული ნაწილი ერთსა და იმავე -რა სუფიქსს შეიცავს: გვანდ-რა, საკნა-რა, აძგა-რა, აჯა-რა, ხეც-ცქვა-რა... სვანეთში მსგავს წარმოებას ვხედავთ მდინარეთა სახელებში: დოლ-რა, კალ-რა, მულხუ-რა, ნაკ-რა... (ქალდანი, 1999: 77).

მდინარე გვანდრის სიგრძეა 26 კმ, აუზის ფართ. 204 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმის, მყინვარისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშულო წლიური ხარჯი 19,8 მ³/წმ. შეადგენს. გვანდრა მთიან, ტყიან რელიეფში მოედინება და მისი ნაპირები დაუსახლებელია.

გვანდრის მთავარი შენაკადია მდ. კლიჩი (ყულუჩი), რომელიც მას მარჯვენა მხრიდან უერთდება. კლიჩის შესართავის ქვემოთ, გვანდრის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 920 მ-ზე, სოფელი გვანდრა მდებარეობს. კლიჩისა და გვანდრის აუზების წყალგამყოფია სუბმერიდიანული, მოკლე, 5-6 კმ სიგრძის კლიჩის ქედი (ალფენიძე, 2008: 23).

კლიჩი მთის ორი მდინარის ქლუხორისა და ნაჰარის შეერთებით იქმნება. მდინარე ქლუხორი სათავეს იღებს ქლუხორის უღელტეხილის, ხოლო ნაჰარი – ნაჰარის უღელტეხილის მიდამოებიდან. მდინარე კლიჩის ხეობით ქლუხორის უღელტეხილზე (სიმაღლე 2781 მ) გადადის გზა, რომელსაც სოხუმის სამხედრო გზას უწოდებენ (მარუაშვილი, 1964: 124). კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ მხარეს, ქლუხორის უღელტეხილთან არის ქლუხორის ტბა, საიდანაც გამოედინება ჩრდილოეთი ქლუხორი, მდ. თებერდას ერთ-ერთი მდგენელი (Даль, 1882: 188). გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდება ,,ქლუხორი“ მომდინარეობს ,,კოლხ“ ეთნონიმიდან (ზარდალიშვილი, 1949: 144-145).

სოხუმის სამხედრო გზა სოხუმიდან მიემართება კოდორის ხეობით – მერხეულის, წებელდის, ამტყელის, ლათას, ჩხალთას, აჟარას, გენწვიშის გავლით, სოფ. მარცხენა გენწვიშთან აუყვება მდინარეების გვანდრისა და კლიჩის ხეობებს ქლუხორის უღელტეხილამდე და ჩრდილოეთ კავკასიაში, თებერდის ხეობაში გადადის. გზამ ასეთი

სახელწოდება XIX საუკუნეში მიიღო (Воронов, 1978: 139). მდინარე კლიჩის მარჯვენა მხარეს, გორაკზე, შემორჩენილია ადრე შუა საუკუნეების კლიჩის ციხის ნანგრევები. ციხე იცავდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ქლუხორის უღელტეხილით მომავალ გზას. ციხის შიგნით, შუა საუკუნეების ტაძრის ნანგრევებია (Воронов, 1978: 158-159).

ნაჰარის უღელტეხილი (სიმაღლე 2880 მ) აკავშირებს მდინარეების კლიჩისა (კოდორის სისტემა) და ნაჰარის (ყუბანის სისტემა) ხეობებს. ნაჰარის უღელტეხილის მახლობლად არის ტბა, საიდანაც გამოედინება ღელე ჩრდილოეთი ნაჰარი, ყუბანის მარცხენა შენაკადის, მდ. უჩკულანის ერთ-ერთი მდგენელი (Даль, 1882: 186-187). კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს მწვერვალების ჯგუფი, სახელწოდებით ნაჰარი: აფხაზეთის კავკასიონზე სამხრეთის ნაჰარი (3582 მ) და ცენტრალური ნაჰარი (3646 მ), უშუალოდ მთავარ წყალგამყოფ ქედზე – ჩრდილოეთის ანუ დიდი ნაჰარი (3780 მ). მწვერვალების სახელწოდება ,,ნაჰარი“ (სვან. ,,ნაჰარ“ – ხარი) უკავშირდება იმავე სახელწოდების უღელტეხილს, რომელსაც სვანები საქონლის გადასარეკად იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ სვანებსა და ყარაჩაელებს შორის საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობები არსებობდა (მიბჩუანი, 1986).

სოფელ გვანდრის ქვემოთ, მდ. გვანდრას მარცხენა მხრიდან მდ. საკენი უერთდება. საკენი სათავეს იღებს აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2620 მ-ზე. მისი სიგრძე 35 კმ-ია, აუზის ფართობი 233 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმის, მყინვარისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე და ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშუალო წყლის ხარჯია 20,6 მ²/წმ. (აფხაზავა, 1984: 670). საკენის მარცხენა შენაკადებია ყვარაში და ბარდღნაკრავარი. ამ უკანასკნელის შესართავის მახლობლად, საკენის მარჯვენა მხარეს ტოპის ტბა მდებარეობს. ბარდღნაკრავარის ქვემოთ, საკენს მდინარეები ნანჩვალი და ცემრათენდო უერთდება. ამ მდინარეების შესართავთან, საკენის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 920 მ სიმაღლეზე სოფელი საკენი მდებარეობს (ცხადაია, ხორავა, 2016: 90). საკენის ხეობიდან, ხიდას უღელტეხილით გზა ზემო სვანეთში გადადის.

საკენის ცენტრში, მცირე ტერასის კიდეზე, შემორჩენილია მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნაშთები, რომელიც უხეშად დამუშავებული კვადრებით არის ნაგები. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მაღლობზე შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესიის ნანგრევები. სოფლის აღმოსავლეთით შემორჩენილია, სავარაუდოდ, ადრე შუა საუკუნეების ციკლოპური სიმაგრის ნაშთები. სიმაგრე აგებულია მშრალი წყობით დიდი ზომის კვადრებით (Воронов, 1978: 157-158).

XIX ს. მეორე ნახევრიდან XX ს. პირველი ნახევრის ჩათვლით, მდინარესაც და სოფელსაც ,,სეკენი“ ერქვა (Кодор, 1895: 553; უგულავა, 1955: 215, 217). შემდეგ იგი ,,საკენ“ ფორმამ შეცვალა. სახელწოდება ქართულია, სვანურად ,,საკვერნეს“ ნიშნავს (ცხადაია, ხორავა, 2016: გვ. 90). სოფელ საკენის ქვემოთ, მდინარე საკენის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე სოფელი ომარიშარა მდებარეობს. სახელწოდების ძველი ფორმაა ომარიშალი. სახელწოდება ქართულია, სვანურად ,,ომარაანთს“ ნიშნავს (ცხადაია, ხორავა, 2016: 90). ომარიშარის ჩრდილო-დასავლეთით, საკენისა და გვანდრის წყალგამყოფი ქედის მცირე ბორცვზე შემორჩენილია შიყერის წმ. გიორგის (სვან. ჯგრაგ შიყერიშ) მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები (ჩართოლანი, ცინდელიანი, 2010: 24).

გვანდრისა და საკენის შეერთების შემდეგ მდინარეს კოდორი ეწოდება. საკენის შესართავს ქვემოთ, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე სოფელ მარცხენა გენწვიში, ხოლო კოდორთან მდ. გენწვიშის შესართავთან, ამ უკანასკნელის მარჯვენა ნაპირზე – სოფელი მარჯვენა გენწვიში მდებარეობს. სოფლების სახელწოდებები მომდინარეობს მათი მდ. კოდორის ნაპირზე განლაგებიდან. მარცხენა გენწვიში მდ. კოდორის მარცხენა მხარეს, ხოლო

მარჯვენა გენწვიში, მარჯვენა მხარეს მდებარეობს (ცხადაია, ხორავა, 2016: 89). XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, ეს სოფლები იწოდებოდა, როგორც ,,გუნწიშ“ (ჩვაბე გუნწიშ, ჟაბე გუნწიშ). სახელწოდება ქართულია. ,,გუნწიშ“ სვანურად ,,ანწლიან ადგილს“ ნიშნავს (მიბჩუანი, 1989: 131). მართლაც, არათუ სოფელ გენწვიშსა და მის მიდამოებში, არამედ მთელ დალის ხეობაში, ანწლი მრავლად ხარობს (მარგიანი, 2013ბ: 189-190).

მდინარე გენწვიშის შესართავის მახლობლად, მის მარცხენა ნაპირზე სოფელი ხუტია მდებარეობს. სოფლის სახელწოდება ქართულია, მომდინარეობს სვანური სიტყვიდან ,,ლიხუეტ“, რაც ,,ამოწყვეტას“ ნიშნავს (მარგიანი, 1998: 77). მარჯვენა გენწვიშის ქვემოთ კოდორს მარჯვენა მხრიდან მდ. ტვიბრაშერი უერთდება; მის ქვემოთ, ასევე მარჯვენა მხრიდან – მდ. ხეცკვარა. ხეცკვარის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 880 მ სიმაღლეზე სოფელი ხეცკვარა მდებარეობს. სახელწოდება ,,ტვიბრაშერი“ ქართულია, სვანურად ,,შავ ღელეს“ ნიშნავს (,,ტვიბ“ – ღელე, ხევი;), ხოლო სახელწოდება ,,ხეცკვარა“ აფხაზურია. მისი ამოსავალია ,,ახაცა“ (აფხ. რცხილა) და აფხაზურად ,,რცხილის ღელეს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, ,,ხეცკვარა“ თავდაპირველად ღელეს ერქვა და შემდეგ სოფელს დაერქვა (მარგიანი, 2013ბ: 190; ცხადაია, ხორავა, 2016: 91).

ხეცკვარას შესართავს ქვემოთ, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფლები: ნაჰარი, აჟარა, უშუალოდ მდინარის ნაპირზე – ქვემო აჟარა. სახელწოდება ,,აჟარა“, მიჩნეულია, რომ აფხაზური წარმოშობის სიტყვაა და ,,ქვაბულს“, ,,ტაფობს“ ნიშნავს (უგულავა, 1955: 215). ნიშანდობლივია, რომ კოდორის ვიწრო ხეობის გასწვრივ, გენწვიშსა და აჟარას შორის, მარცხნიდან და მარჯვნიდან გორაკებზე შემორჩენილია ძლიერ დანგრეული ციხეებისა და ეკლესიების ნაშთები (Воронов, 1978: 157; ჩართოლანი, ცინდელიანი, 2010: 18-23). ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან კოდორის ხეობით მომავალი გზა კარგად იყო გამაგრებული და ხეობის ეს ნაწილი მჭიდროდაც იყო დასახლებული.

ქვემო აჟარასთან კოდორს მარცხენა მხრიდან მდ. მრამბა უერთდება. მისი სიგრძეა 14 კმ, აუზის ფართობი 174 კმ². სათავე აქვს კოდორის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2610 მ-ზე. იგი ღელეების რაშკვარასა და ბუტიხახის შეერთებით იქმნება და მთიან, ტყიან ვიწრო ხეობაში მოედინება. მრამბის შესართავთან, კოდორის მარცხენა ნაპირზე სოფელი ბრამბა მდებარეობს. სახელწოდება აფხაზურია და ,,მზის უნახავს“ ნიშნავს (ცხადაია, ხორავა, 2016: 166). აქ აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეების ორი დარბაზული ეკლესიის ნაშთი (ჩართოლანი, ცინდელიანი, 2010: 17).

კოდორის შენაკადებიდან მნიშვნელოვანია ჩხალთა, რომელიც კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედსა და ჩხალთის ქედს შორის მოედინება. ჩხალთის ქედი, რომელსაც აფხაზეთის ქედსაც უწოდებენ, მდებარეობს აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე. იგი წარმოადგენს ბზიფის ქედის აღმოსავლეთ განშტოებას და გადაჭიმულია კავკასიონის წყალგამყოფი ქედის პარალელურად. მისი სიგრძე 70 კმ-ია, მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 3156 მ-მდე. თხემი დანაწევრებულია, საიდანაც მყინვარები ეშვება. ქედზე მდებარეობს მწვერვალები შხაფიძგა (3029 მ), შოუდიდი (2756 მ) და სხვ. შხაფიძგიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ თხემი თანდათან დაბლდება. ქედზე გავრცელებულია მთა-ტყისა და მთა-მდელოს ლანდშაფტები. ქედის კალთები ზღვის დონიდან 1800-1900 მ-მდე დაფარულია წიფლნარითა და მუქწიწვიანი ტყით. უფრო მაღლა სუბალპური და ალპური მდელოებია. ჩხალთის ქედი მდინარე ჩხალთის აუზს მდინარეების ამტყელის, ჯამპალის, ქვაბჩარის და ზიმას აუზებისაგან გამოყოფს (მარუაშვილი, 1964: 221).

ჩხალთა მდ. კოდორს მარჯვენა მხრიდან უერთდება. იგი მდინარეების ადანგესა და მარუხის შეერთებით, ზღვის დონიდან 1488 მ სიმაღლეზე იქმნება. მისი სიგრძე 38 კმ-ია,

მდინარე ადანგეს სათავიდან 48 კმ, აუზის ფართობი 465 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმის, მყინვარებისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობით ხასიათდება მარტიდან ოქტომბრის ბოლომდე, რაც გამოწვეულია თოვლისა და მყინვარების დნობით. ყველაზე დიდი წყალდიდობა ივლის-აგვისტოში ახასიათებს. წყალმცირეა დეკემბრიდან მარტამდე. საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან 40,7 მ³/წმ. (აფხაზავა, 1987: 173). ჩხალთის ხეობა ღრმაა, ხშირი მცენარეული საფარით, წიწვოვანი და წიფლის ტყით შემოსილი. ხეობა თითქმის მთელ სიგრძეზე დასახლებას მოკლებულია (მარუაშვილი, 1964: 123). ჩხალთის გასწვრივ მთავარი წყალგამყოფი ქედი აღწევს დიდ სიმაღლეს დასავლეთ კავკასიაში. გარდა აფხაზეთის ფარგლებში უმაღლესი მწვერვალისა – მთა დომბაი-ულგენი (4048 მ), აქ არის 17 სამიათასიანი მწვერვალი, მათ შორის მარუხბაში (3798 მ), აკსაუტი (3909 მ), მ. საფრიჭა (3785 მ), პტიში (3687 მ) და სხვ.

ჩხალთის ერთ-ერთი მდგენელი ადანგე სათავეს იღებს ადანგეს უღელტეხილის (2307 მ) სამხრეთით პატარა კარული ტბიდან და ტროგულ ხეობაში მიედინება. მისი სიგრძეა 12 კმ-ია, აუზის ფართობი – 47 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში, წყალმცირობა – ზამთარში (ადანგე, 1975: 83). ადანგეს უღელტეხილზე, რომლის მახლობლადაც სათავეს იღებს მდ. ადანგე, ჩხალთის ხეობიდან ბზიფისა და გუმისთის ხეობებში ბილიკები გადადის.

ჩხალთის მეორე მდგენელი მარუხი სათავეს იღებს აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მარუხის მყინვართან, ზღვის დონიდან 2405 მ სიაღლეზე. იგი მდინარე ადანგეს მარცხნიდან უერთდება. მისი სიგრძეა 7,7 კმ, აუზის ფართობი – 43,4 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმის, მყინვარული და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულ-ზაფხულში, წყალმცირობა – შემოდგომა-ზამთარში. წყლის საშუალო წლიური ხარჯი 3,90 მ³/წმ (აფხაზავა, 1983: 463). აფხაზეთის კავკასიონის ერთ-ერთი მაღალი მწვერვალია მარუხი (3798 მ). მის აღმოსავლეთით აღმართულია მცირე მარუხის მწვერვალი (3550 მ). მდინარე მარუხის სათავიდან ბილიკი მიემართება მარუხის უღელტეხილისაკენ (სიმაღლე 2746 მ) და გადადის მარუხის ხეობაში. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ჩრდილოეთ მარუხის მყინვარზე, 2500-3000 მ სიმაღლეზე სათავეს იღებს მდ. მარუხა, რომელიც მდ. აკსაუტს, მდ. პატარა ზელენჩუკის ერთ-ერთ მდგენელს ერთვის. სახელწოდება ,,მარუხას“ უკავშირებენ აფხაზურ-აბაზურ სიტყვას ,,ამრა“, რაც მზის ღმერთს აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, ,,მარუხა“ ნიშნავს ,,მზის ღმერთის მთას“, ,,მზიან მთას“.

ჩხალთას ზემო დინებაში აძგარასაც უწოდებენ, რაც აფხაზურად ,,მჟავეს“ ნიშნავს. მისი მარჯვენა შენაკადებია: შოუს-თავა, შოუ, შოუდიდი, გორაფი (გამოედინება ამავე სახელწოდების ტბიდან), ყვარაში, აძგარა; მარცხენა მხრიდან უერთდება: ჩხალთა-ძიხ, ჟესიარ, მარცხენა აძგარა, სამხრეთი პტიში. ჩხალთის ზემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე, მდ. აძგარას შესართავთან სოფელი აძგარა მდებარეობს. სოფელ აძგარას ზემოთ, ჩხალთის მარცხენა მხარეს, მარუხის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე შემორჩენილია სიმაგრის ნაშთი (ხვისტანი, 2018: 34).

სამხრეთ პტიშს XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, პტიშურას უწოდებდნენ. იგი სათავეს იღებს მთა პტიშის (2995 მ) მახლობლად, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე. სამხრეთ პტიშის შესართავთან, ჩხალთის მარცხენა მხარეს, ზ. დ. 850 მ სიმაღლეზე სოფელი მარცხენა პტიში მდებარეობს, ხოლო ჩხალთის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 950 მ სიმაღლეზე – სოფელი მარჯვენა პტიში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელწოდება პტიში ქართულია, მისი ამოსავალია სვანური ,,ტიიშ“, ,,ტყვიისა“ (ცხადაია, ხორავა, 2016: გვ. 90). თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მდ. სამხრეთ პტიშის მოპირდაპირედ, კავკასიონის მთავარ

წყალგამყოფ ქედზე, მთა პტიშის აღმოსავლეთით მდებარე მთა დომბაი-ულგენის (4048 მ) კალთებიდან სათავეს იღებს მდ. ჩრდილოეთი პტიში, მდ. დომბაი-ულგენის შენაკადი. აქედან გამომდინარე, მისი ქართული ეტიმოლოგია მეტ არგუმენტაციას მოითხოვს. პტიშის სათავიდან დომბაი-ულგენის უღელტეხილით (3006 მ) ბილიკი ყარაჩაიში გადადის (Даль, 1882: 183-185).

ჩხალთის მარცხენა ნაპირზე, ზ. დ. 1000 მ სიმაღლეზე სოფელი ბუძგური მდებარეობს. სოფელი ამ სახელწოდებით XX ს. 30-იანი წლებიდან ფიქსირდება. სახელწოდება ქართულია, მეგრულად ,,ეკლით დაბარდულ მაღლობს ნიშნავს“ (ცხადაია, ხორავა, 2016: 89). მდინარეების ჩხალთისა და კოდორის შესართავთან, ჩხალთის მარჯვენა ნაპირას, ზ. დ. 710 მ სიმაღლეზე სოფელი ჩხალთა მდებარეობს. ჩხალთაში, მდინარე ჩხალთისა და კოდორის შესართავში, მდ. ჩხალთის მარჯვენა ნაპირზე, კლდის კონცხზე შემორჩენილია ადრე შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნანგრევები (Воронов, 1978: 157).

სოფელ ჩხალთის ქვემოთ მდ. კოდორს მარჯვენა მხრიდან მდ. ზიმა ერთვის. ჩხალთისა და ზიმას აუზებს მოკლე, 6-7 კმ სიგრძის ჟურგას (აფხ. ჟვირგვა) ქედი (2293 მ) გამოყოფს (მარუაშვილი, 1964: 221; ალფენიძე, 2008: 23). მდინარე ზიმას მარჯვენა ნაპირზე სოფელი ზიმა მდებარეობს. XX ს. პირველი ნახევრის ჩათვლით, კოდორის მარჯვენა მხარეს, მდ. ზიმას მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელს გამოღმა ზიმას უწოდებდნენ, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს, მდ. კოდორის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელს – გაღმა ზიმას. სახელწოდება ,,ზიმა“ ქართულია, სვანურად ,,ზომას“ ნიშნავს (ცხადაია, ხორავა, 2016: 89). სოფელი პირველად XIX ს. 30-იანი წლებიდან ფიქსირდება წყაროებში (Нордман, 2020: 67).

ზიმას ქვემოთ, მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე სოფელი შაბათკვარა მდებარეობს, ამავე სახელწოდების ღელის ნაპირზე. სახელწოდება ,,შაბათკვარა“ აფხაზურია და ,,შაბათის ღელეს“ ნიშნავს. ამ შემთხვევაში, ,,შაბათ“ – პირსახელია. როგორც ჩანს, შაბათკვარა თავდაპირველად ღელეს ერქვა და შემდეგ სოფელს დაერქვა (ცხადაია, ხორავა, 2016: 90).

შაბათკვარას ქვემოთ, კოდორს მარჯვენა მხრიდან მდ. ქვაბჩარა უერთდება. ქვაბჩარის შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე, სოფელი ქვაბჩარა მდებარეობს. სოფელ ქვაბჩარის ქვემოთ, კოდორს მარცხენა მხრიდან მდ. ვიამიში ერთვის, რომლის ყველაზე დიდი შენაკადია ლამკაცი. ვიამიშის ქვემოთ, ასევე მარცხნიდან კოდორს მუკაჯიკვარა უერთდება, უფრო ქვემოთ, მარჯვენა მხრიდან – ღელე მაქსიმოვკა. მის ქვემოთ კოდორს მარჯვენა მხრიდან ერთვის არღუნია, რომლის ნაპირზე სოფელი არღუნია მდებარეობს. სახელწოდება არღუნია XX ს. დასაწყისიდან დასტურდება წყაროებში (ცხადაია, ხორავა, 2016: 97). არღუნიას შესართავთან, კოდორის მარცხენა ნაპირზე სოფელი კადარი მდებარეობს. ის შედარებით ახალი სოფელია, დასახლებულია XX ს. 40-იან წლებში. სახელწოდება ქართულია, მეგრულად კენჭიან, წყლისპირა უნაყოფო და ქვიან ადგილს ნიშნავს (ცხადაია, ხორავა, 2016: 97).

არღუნიას შესართავთან, მის მარჯვენა მხარეს სოფელი ლათა მდებარეობს, ხოლო, მის მოპირდაპირე მხარეს, კოდორის მარცხენა ნაპირზე – სოფელი მარდახუჭი. სახელწოდება ლათა ქართულია, სვანურად საზღვარს, გასაყარს, გასაყოფ ადგილს ნიშნავს (ქალდანი, 1999: 56; მიბჩუანი, 1989: 131). წყაროებში XIX ს. 60-იან წლებშია დაფიქსირებული (ცხადაია, ხორავა, 2016: გვ. 97). რაც შეეხება სოფელ მარდახუჭს, XIX საუკუნეში ის სოფელ ვარდას ნაწილი იყო და ,,ვარდახუჭ“ ერქვა, რაც აფხაზურად ,,პატარა ვარდას“ ნიშნავს. ა. ნორდმანი იხსენიებს სოფლებს ვარდასა და ვარდახუჭს (Нордман, 2020: 67). მოგვიანებით, მის სახელწოდებად ,,მარდახუჭი“ დამკვიდრდა (ცხადაია, ხორავა, 2016: 97).

ლათაში მდებარეობს მარშანიების სასახლის ნაშთები. სასახლე ორსართულიანი ყოფილა, რიყის ქვით ნაგები. იგი XIX საუკუნით თარიღდება (Воронов, 1978: 151). სოფლის

ცენტრიდან ჩრდილოეთით, ერთი კმ დაშორებით, ხეობის სიღრმეში, კლდოვან კონცხზე შემორჩენილია ძველი ციხესიმაგრის ნანგრევები. ი. ვორონოვის დაკვირვებით, ციხესიმაგრე XI-XIV სს. ფუნქციონირებდა (Воронов, 1978: 151). სოფელ ზემო ლათაში, შემორჩენილია შუა საუკუნეების მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. იგი აგებული ყოფილა კირქვის ფილებით (Воронов, 1978: 155).

ლათას დასავლეთით ბაგადის კლდეებია, სადაც დალს ისტორიული თემი წებელი ესაზღვრებოდა. წებელისა და დალის დამაკავშირებელი გზა ბაგადის კლდის კირქვის ქარაფში იყო გამოკვეთილი. ამჟამად აქ გვირაბია გაყვანილი (მარუაშვილი, 1964: 122).

კოდორის შენაკადების სათავეებიდან ბილიკები გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში, ყარაჩაიში: გვანდრას სათავიდან გვანდრას უღელტეხილით, მარუხის სათავიდან მარუხის უღელტეხილით, პტიშის სათავიდან დომბაი-ულგენის უღელტეხილით, ნაჰარის სათავიდან ნაჰარის უღელტეხილით, ქლუხორის სათავიდან ქლუხორის უღელტეხილის გავლით – სოხუმის სამხედრო გზა; ჩხალთის ხეობით ბილიკები გადადის ბზიფის ხეობაში, ფსხუში და გუმისთის ხეობაში; საკენის სათავეებიდან ხიდას (ჯერილის), არემუას და ნაჩვალის უღელტეხილებით ბილიკები გადადის ნენსკრას ხეობაში, ზემო სვანეთში. ნიშანდობლივია, რომ ხიდას უღელტეხილს ადრე დალის უღელტეხილს (სვან. ,,დალია თანაღ“) ეძახდნენ (ჩართოლანი, ცინდელიანი, 2010: 5). ინჟინერმა ვ. დალმა, კავკასიის გზათა სამმართველოს დავალებით, 1880 წლის ზაფხულში შეისწავლა კოდორის ხეობიდან მარუხის, ნაჰარის და ქლუხორის უღელტეხილებისაკენ მიმავალი ბილიკები, შავი ზღვის სანაპიროდან ჩრდილოეთ კავკასიასთან, ყუბანის ოლქთან დამაკავშირებელი გზის პროექტის შედგენის მიზნით. სირთულეების გათვალისწინებით იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გზის გაყვანა უმჯობესი იქნებოდა ქლუხორის უღელტეხილით და არა მარუხისა და ნაჰარის უღელტეხილებით (Даль, 1882: 172, 210).

კოდორის ზემო წელი, დალი, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედისა და მისი განშტოებების კალთებზეა შეფენილი. ხეობა, ფაქტობრივად, ხელუხლებელ ველურ ბუნებას წარმოადგენს უღრანი, ფართოფოთლოვანი და წიწვიანი ტყეებით. მცენარეულობა ვერტიკალურ-ზონალური განაწილების (სარტყლურობის) კოლხური ტიპითაა წარმოდგენილი, სარტყელთა სრული სპექტრით (ტყის, სუბალპური, ალპური და სუბნივალური). კოდორის ზემო წელში და მისი შენაკადების ჩხალთისა და საკენის ხეობებში გვხვდება – მუხნარები, წიფლნარები, სოჭნარები, წიფლნარ-სოჭნარები კოლხური ქვეტყით და ბალახეულით, მურყნარები, ნეკერჩხლიანი და თელიან-ნეკერჩხლიანი ტყეები, არყნარები, დეკიანები, იელიანები, სუბალპური და ალპური მდელოები (ქვაჩაკიძე, 2008: 36-41). გარეული ცხოველებიდან გავრცელებულია: შველი, არჩვი, ჯიხვი, დათვი, მგელი, ტურა, მელა, კვერნა, თრითინა და სხვ. (ჭოლოკავა, 2008: 55-56); ფრინველებიდან – კავკასიური ჩხიკვი, კავკასიური კულუმბური, ჭივჭავი, კავკასიური სტვენია, მთის ბოლოქანქარა, შაშვი, ჩხართვი, ბულბული, ტოროლა, მერცხალი, კოდალა, ნამგალა, როჭო, კავკასიური შურთხი, კაკაჩა, ქორი და სხვ. (ჭოლოკავა, 2008: 51-53). კოდორის ზემო დინება და მისი შენაკადები მდიდარია თევზით. კოდორში შავი ზღვიდან ქვირითობისას შემოდის სვია, ზუთხი, შავი ზღვის ორაგული; კოდორის ზემო წელსა და მის შენაკადებში: ჩხალთაში, საკენში, გვანდრაში, კლიჩში და სხვ. უხვად არის კალმახი, ქაშაპი, კოლხური ციმორი, კოლხური წვერა (ჭოლოკავა, 2008: 48-49).

კოდორის ზემო წელში, დალში, სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგი იყო მესაქონლეობა. მოსახლეობას მუდმივად ჰქონდა მეცხოველეობის პროდუქტები: ხორცი, რძე და რძის ნაწარმი. ასეთივე ვითარება იყო XIX საუკუნეში და ასე დარჩა XX საუკუნეშიც, როდესაც აქ კოლმეურნეობები შეიქმნა. დალის ხეობის მკვიდრნი მჭიდროდ იყვნენ

დაკავშირებული ყარაჩაელებთან. XX ს. დასაწყისში და შემდეგაც, სვანები სამუშაოდ გადადიოდნენ ყარაჩაიში და შინ საკმაოდ დატვირთულები ბრუნდებოდნენ. გარდა ამისა, სვანები ყარაჩაელებისაგან იძენდნენ ნაბდებს, შალეულს, ხარ-ძროხას. გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან ყარაჩაელებსაც გაუჭირდათ და უკვე ისინი იძენდნენ სიმინდს დალიდან (ბარდაველიძე, 1933: 117-118). გაჭირვება, რომელიც 20-30-იან წლებში თავს დაატყდათ სვანებსაც და ყარაჩაელებსაც, დაკავშირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკასთან, მათ შორის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან.

მოსახლეობამ ბუნებრივი რესურსების, კერძოდ, ტყის მასივებისა და საძოვრების გამოყენების ხარჯზე მოაშენა ჭარბი რაოდენობით პირუტყვი. ჰყავდათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ძროხა, კამეჩი, აგრეთვე თხა, ცხვარი, ღორი (ჯიქია და სხვ. 2008: 89). 2007 წ. აჟარის თემში ჰყავდათ: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, დაახლ. 7 ათასი სული, ღორი – ათასი სული (ჯიქია და სხვ. 2008: 90). ზაფხულში საქონელი ძირითადად ხუტიასა და ჰარვას მთების საძოვრებზე ჰყავდათ (ასლანიშვილი, 1933: 30). განვითარებული იყო მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა მონადირეობას, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხე-ტყის დამზადებას (უგულავა, 1955: 218-219). XX საუკუნეში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მემცენარეობა. მოსახლეობას მოჰყავდა როგორც მრავალწლიანი, ისე ერთწლიანი კულტურები, მათ შორის, ხეხილოვანი კულტურები: კაკალი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ბალი, ტყემალი, ალუჩა, ატამი. საკარმიდამო ნაკვეთებზე წარმოდგენილი იყო ვაზი, იზაბელას სახით, თუმცა ზოგ ადგილას ის დამწიფებას ვერ ასწრებდა (კოპალიანი, უგულავა, ჯობავა, 2008: გვ. 96-98). მთავარ საკვებ კულტურას წარმოადგენდა სიმინდი. გასული საუკუნის 20-30-იან წლებში მცირე რაოდენობით პურსაც თესავდნენ (ასლანიშვილი, 1933: 30).

XIX-XX სს. აჟარის თემში ძირითადად სვანები ცხოვრობდნენ, ლათის თემის მოსახლეობა შერეული იყო, აქ ცხოვრობდნენ რუსები, სომხები, მცირე რაოდენობით, აფხაზები და ქართველები (ასლანიშვილი, 1933: 10). მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერით, აჟარის თემის მოსახლეობა 2250 კაცს შეადგენდა, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერით – 1956 კაცს. 2007 წლის აგვისტოს აღწერით, მოსახლეობის რაოდენობამ 2329 კაცი შეადგინა (მამალაძე, 2008: 78-79).

არქეოლოგიური მონაცემებით კოდორის ხეობის ზემო ნაწილი ჯერ კიდევ ადრინდელი ბრინჯაოს ხანაში იყო დასახლებული. აქ რამდენიმე ციკლოპური სიმაგრის ნაშთია შემორჩენილი: სოფელ ომარიშარის ტერიტორიაზე გათხრილი ციკლოპური ნაგებობების ინვენტარი III-II ათასწლეულით თარიღდება (ხვისტანი, 2018: 17-24); დიდი ზომისაა სოფელ საკენის ციკლოპური ციხე, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან კოლხეთის დაბლობისაკენ გზას კეტავდა (ხვისტანი, 2018: 25-28). აჟარაში, ომარიშარში, ტვიბრაშერში შემორჩენილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამთამადნო წარმოების ძეგლები, ანტიკური ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობები, ნამოსახლარები და სამაროვნები; მრავლადაა ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო და ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლების ნაშთები (ჩართოლანი, ცინდელიანი, 2010: 7-8; ხვისტანი, 2018: 14-16).

კოდორის ხეობის ზემო ნაწილი ბრინჯაოს ხანაში კოლხური კულტურის არეალში შედიოდა და ქართველთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფით, სვანებით იყო დასახლებული. ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში ეს მხარე მისიმიანეთის სახელითაა ცნობილი. როგორც მიჩნეულია, მისიმიელები ის სვანებია, რომელთა შესახებაც სტრაბონი I საუკუნეში წერდა, რომ ,,ისინი ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის“ (Strabo, XI, II, 19; ყაუხჩიშვილი, 1957: 126). ანტიკურ ხანაში იგი ეგრისის (კოლხიდის, ლაზიკის) სამეფოს

სვანეთის საერისთავოში შედიოდა. მისიმიანეთის ადმინისტრაციული ცენტრი და მთავარი ციხე იყო ძახარი. მას აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) იხსენიებს მისიმიელებსა და ბიზანტიელებს შორის 555 წელს გამართული ბრძოლის აღწერისას. აგათიას ცნობით, ძახარი არის ციხე მისიმიელთა ქვეყანაში, მეტსახელად რკინისას ეძახიან მისი სიმტკიცის გამო (აგათია სქოლასტიკოსი, 1936: 86). მიჩნეულია, რომ ,,ძახარი" არის ქართული ,,ჩახარი"-ს (სვანურად ,,საბრძოლო ადგილი") ბერძნული ფორმა. ძახარი არის ჩხალთის ციხე, მდინარეების ჩხალთისა და კოდორის შესართავში (მუსხელიშვილი, 1980: 121).

კოდორის ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა გზა, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქლუხორის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა. ეს იყო სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომლითაც ჯერ რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია ჩრდილოეთ კავკასიასთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირს ახორციელებდა. ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობისას ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი ეგრისში ამ გზით გადმოვიდა (სანაძე, 2020: 24).

VI-VII სს-ში დალი მისიმიანეთის სახელწოდებით ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც უშუალოდ ეგრისის (ლაზიკის) სამეფო კარი მართავდა. 662 წელს კონსტანტინოპოლიდან ეგრისში (ლაზიკაში) გადმოასახლეს ბიზანტიელი მოაზროვნე და ღვთისმეტყველი მაქსიმე აღმსარებელი ორ მოწაფესთან – ანასტასი აპოკრისიართან და ანასტასი მონაზონთან ერთად. თავდაპირველად ისინი კოდორის ხეობის ციხეებში მოათავსეს, მათ შორის ანასტასი აპოკრისიარი – ბუკოლუსის ციხეში (თეოდოსი განგრელი, 1941: 42). მიჩნეულია, რომ ბუკოლუსის (ბოკერის) ციხე იგივე კლიჩის ციხეა დალის ხეობაში (მუსხელიშვილი, 1980: 54-55).

,,აფხაზთა" სამეფოში (VIII-X სს.) და შემდეგ საქართველოს სამეფოში (XI-XV სს.), კოდორის ხეობის ზემო ნაწილი, დალი, როგორც სვანეთის საერისთავოს ნაწილი შედიოდა. ,,აფხაზთა" მეფეები კონსტანტინე III (893-922) და გიორგი II (922-957) კოდორის ზემო წელიდან ავრცელებდნენ ქრისტიანობას ჩრდილოეთ კავკასიაში (ხორავა 2021ა: 34-43). კოდორის ხეობის ზემო ნაწილში მრავალი ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი. აღსანიშნავია შიყერის წმ. გიორგის სახელობის, აჟარის, გენწვიშის, ბრამბის ეკლესიები (ხვისტანი, 2018: 47-50). სოფელ ჩხალთაში, ძველი ნატაძრალის ტერიტორიაზე, აღმოჩნდა ასომთავრულ წარწერიანი ანტეფიქსი, რომელიც X-XI სს-ის მიჯნით თარიღდება. წარწერაში მოხსენიებულია შესაძლო ქტიტორი – „აბულეთ" (ჩართოლანი, ცინდელიანი, 2010: 16-17). საგანგებოდ იყო გამაგრებული ციხეებით ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელი ბილიკები.

XV-XVI საუკუნეებში, არქეოლოგიური მონაცემებით, დალში ბრძოლებისა და დიდი ნგრევის კვალი დასტურდება. საქართველოს სამეფოს დასუსტებით ისარგებლეს ყუბანისა და მისი შენაკადების ზემო წელში მცხოვრებმა აფსუებმა. ისინი კავკასიონის ქედის უღელტეხილებით იჭრებოდნენ კოდორის ზემო წელში და აქ დამკვიდრებას ცდილობდნენ. სწორედ მათ შემოსევებთან არის დაკავშირებული ნგრევის კვალი ამ მხარეში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 2007-2008 წლებში მდ. კოდორის სათავეებში, სოფ. საკენში, ადგილ ლამურყვამში მიაკვლია ციხესიმაგრის ნაშთებს და დიდ ტერიტორიაზე გადამწვარ ფენას; გადამწვარი ფენა დადასტურდა ასევე სოფ. ომარიშარაში, ბოკერის ციხესა და მის მიმდებარედ ვრცელ ტერიტორიაზე. ეს ფენები XV-XVI საუკუნეებით თარიღდება (ხორავა, 2021ბ: 175-176). ამ შემოსევების შედეგად, დალი ქართული მოსახლეობისაგან დაიცალა. მათი ადგილი ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულმა მთიელებმა დაიკავეს (ბარდაველიძე, 1933: 7). ამ დროიდან მკვიდრდება კოდორის ხეობის

ზემო ნაწილში აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებები. ამასთანავე, აქ თურქული გეოგრაფიული სახელწოდებებიც დამკვიდრდა თურქულენოვანი ყარაჩაელების მეშვეობით.

ვ. ბარდაველიძეს დალში ჩაუწერია გადმოცემა, რომლის თანახმადაც, ,,აფხაზებმა სვანები დიდ სვანეთში გადარეკეს. როდესაც სვანები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ, მათ თან წაიყვანეს ,,ჯგრაგ-შიყერიშ“ (შიყერის წმ. გიორგი), რომელიც ისე მიდიოდა, როგორც ცეცხლი. მაგრამ ის დიდ სვანეთში დიდხანს არ გაჩერდა და გამოიქცა. აფხაზებთან რომ მისულიყო, მათ დიდი ძალა მიეცემოდათ, ვისთან მივიდა არ ვიცითო“ (ბარდაველიძე, 1933: 7). ამ გადმოცემაში შემონახულია რეალური ისტორიული ვითარების ანარეკლი, რომ დალელებმა დატოვეს მშობლიური მხარე და სვანეთში გადავიდნენ, ამასთანავე მათ სიწმინდეებიც გადაასვენეს.

დალის მმართველმა მარუშიანების საგვარეულომ ხელისუფლება შეინარჩუნა, თუმცა თანდათანობით გააფხაზდა და გვარსახელმა მარშან//მარშანია ფორმა მიიღო (გასვიანი, 1990: 210). XVII-XVIII სს-ში დალი ნომინალურად აფხაზთა სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. აფხაზთა მთავარი თავს კოდორის ზემო წელის, დალის, ბატონადაც თვლიდა თავს, თუმცა ეს თემი მის ხელისუფლებას არ ცნობდა. 1810 წელს, როდესაც აფხაზეთის სამთავრო რუსეთის მფლობელობაში შევიდა, დალის მფლობელმა მარშანიებმა გიორგი შარვაშიძის (1810-1821) ხელისუფლება არ ცნეს და არც რუსეთის მფლობელობაში შევიდნენ (ხორავა, 2014: 21).

დალის თემის მოსახლეობა უმთავრესად მეჯოგეობას მისდევდა, ამიტომ აფხაზეთის ბარის გარეშე არსებობა ძნელად თუ შეეძლოთ. როგორც ნახევრად მეჯოგეები, ისინი წებელელებთან ერთად სათარეშოდ იჭრებოდნენ აფხაზეთის სანაპირო ზოლში და სამეგრელოში, იტაცებდნენ ადამიანებს, ეწეოდნენ ტყვის სყიდვას, აოხრებდნენ სოფლებს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის უღელტეხილებით მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აბაზებთან, ყარაჩაელებთან, ყაბარდოელებთან და საფრთხის დროს თავს მათთან აფარებდნენ. თვით დალს თავს აფარებდნენ აფხაზეთიდან და ოდიშიდან გაქცეული ავის მოქმედნი და კავკასიელი მთიელებიც, ამიტომ რუსეთის ხელისუფლება ამ მხარეს ,,დამნაშავეთა ბუნაგს“ უწოდებდა (ხორავა, 2011: 147-148). 1837 წლის მაისში რუსეთის ხელისუფლებამ დალი და წებელი იარაღის ძალით დაიმორჩილა და ამ თემებში უშუალო რუსული მმართველობა დაამყარა. შეიქმნა წებელდის საბოქაულო, რომელშიც დალი და წებელი გააერთიანეს. ამ დროიდან დამკვიდრდა რუსული სახელწოდება ,,წებელდა“, რაც ორი სახელწოდების გაერთიანებით შეიქმნა (ხორავა, 2021ბ: 266). აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1823-1864) იმედოვნებდა, რომ რუსეთის ხელისუფლება ცნობდა მის უფლებებს კოდორის ხეობის თემებზე, თუმცა ამაოდ. 1840-1841 წწ. დალში და წებელში ანტირუსული, ანტიკოლონიური აჯანყებები მოხდა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო. დალში მცხოვრები 500-მდე კომლი აყარეს და წებელში გადაასახლეს, თუმცა მათი ნაწილი მალევე უკან დაბრუნდა. აქვე, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული მთიელებიც დამკვიდრდნენ (ხორავა, 2021ბ: 267).

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, 1866 წლის 11 აგვისტოს დებულებით, დალი წებელთან ერთად, წებელდის ოკრუგის სახელწოდებით სოხუმის სამხედრო განყოფილებას (აფხაზეთი) შეუერთეს. აფხაზთა 1866 წლის ანტიკოლონიური, ანტირუსული აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1867 წელს დალის თემის მოსახლეობა რუსეთის ხელისუფლებამ ოსმალეთში გადაასახლა, რის შემდეგაც ეს მხარე მოსახლეობისაგან სრულიად დაიცალა. 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში მოხსენიებულია დალის თემის სოფლები: დალი, აჟარა, ყამგარა, ზიმა, შვაქვ, უარდა, თაფშ-იფა იჰაბლა, ამჭარა, ლათა, გენწვიშ (ხორავა, 2014: 130).

მუჰაჯირთა სიაში დასახელებული სოფლების ერთი ნაწილის – ყამგარა, შვაქვ, თაფშ-იფა იჰაბლა (აფხ. თაფშ-იფების სოფელი), – ლოკალიზება-იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. სოფ. უარდა (ვარდა) ამჟამად სოფ. ლათის ნაწილია, რაც შეეხება სოფელ დალს, რომელიც ამ მხარის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, დღევანდელი ქვემო აჟარა უნდა იყოს, მისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე.

კოდორის ხეობის შუა და ზემო წელის დაცარიელებული მიწები შევიდა სახაზინო მიწების ფონდში, რომელსაც კავკასიის მთიელთა მმართველობა განაგებდა. 1868 წელს წებელდის ოკრუგის ნაცვლად ,,წებელდის დასახლებათა მზრუნველობა“ შეიქმნა, რომლის მიზანი მხარის კოლონიზაცია იყო. ხელისუფლებამ ვრცელი მიწაწყალი რუს მოხელეებსა და ოფიცრებს უბოძა. XIX საუკუნის მიწურულს დალში ზემო სვანეთის თემებიდან გადმოსულები დამკვიდრდნენ. გადმოსახლების პროცესი XX საუკუნის დასაწყისიდან გააქტიურდა. ამდენად, ხუთი საუკუნის წინ გამოძევებული ქართული მოსახლეობა წინაპართა სამკვიდროში დაბრუნდა (ხორავა, 2008: 15). სვანების, სვანეთისა და ამ მხარის უშუალო მეზობელთათვის ის იყო მხოლოდ დალი და დალელთა ისტორიული სამკვიდრო.

1894-1903 წლებში რუსეთის ხელისუფლებამ კოდორის ხეობაზე, ქლუხორის უღელტეხილის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიისაკენ სოხუმის სამხედრო გზა გაიყვანა, თუმცა ის ძნელი დასაძლევი იყო. კოდორის ხეობა 1883-1917 წწ. სოხუმის ოკრუგის, ხოლო 1918-1921 წწ. სოხუმის ოლქის (აფხაზეთის) შემადგენლობაში შედიოდა (ხორავა, 2008: 16). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დალის ხეობაში აჟარისა და ლათის სასოფლო თემები ჩამოყალიბდა. 1924 წლის აგვისტოში დალის თემის სოფლებში ანტისაბჭოთა გამოსვლები მოხდა, რომელიც ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო (ხორავა, 2024: 51-57).

1921-1991 წლებში დალის ხეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში იყო და თავდაპირველად სოხუმის, შემდეგ კი გულრიფშის რაიონის შემადგენლობაში შედიოდა აჟარისა და ლათის თემების სახით. 1992-1993 წწ. აფხაზეთის ომის დასრულების შემდეგ, დალის თემი აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის კონტროლის ქვეშ მოექცა, ხოლო აჟარის თემი საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციაში დარჩა. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად, ეს მხარე რუსეთის ჯარის მიერ იქნა ოკუპირებული, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა დევნილად იქცა. ამ დროიდან კოდორის ზემო წელი მთლიანად აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მოექცა.

დასკვნა

ნაშრომში შესწავლილია კოდორის ხეობის ზემო ნაწილის, დალის ხეობის ისტორიულ-ფიზიკური, ისტორიულ-ეკონომიკური, ისტორიულ-პოლიტიკური გეოგრაფია, მათ შორის: ხეობის ჰიდროგრაფია, ოროგრაფია, დასახლებული პუნქტების ისტორიული გეოგრაფია, ისტორიულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა გეოგრაფია, ისტორიული გზები, საეკლესიო გეოგრაფია, ისტორიული ტოპონიმია.

არქეოლოგიური მონაცემებით კოდორის ხეობის ზემო ნაწილი ჯერ კიდევ ადრინდელი ბრინჯაოს ხანაში იყო დასახლებული. უძველესი დროიდან ეს მხარე ქართველთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფით, სვანებით იყო დასახლებული. ანტიკურ ხანაში ამ მხარეს მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებსა და XIX საუკუნეში – დალი, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ხანაში აფხაზეთის სვანეთს ეძახდნენ. სვანების, სვანეთისა და ამ მხარის უშუალო მეზობელთათვის ის იყო მხოლოდდამხოლოდ დალი, ნადირობის ქალღმერთის საბრძანებელი და დალელთა ისტორიული სამკვიდრო.

ამა თუ იმ მხარის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის გარკვევისას უაღრესად მნიშვნელოვანია ტოპონიმია, რომელსაც მიწის ენას უწოდებენ. დალის ხეობის „მიწის ენა“ ქართულია (სვანურია). ამ მხარეში, ძირითადად, გავრცელებული იყო სვანური (ქართული) გეოგრაფიული სახელწოდებები, რასაც ხეობის ისტორიული და თანამდროვე ტოპონიმიის შედარებითი ანალიზი ადასტურებს. XV საუკუნიდან, ეთნოპოლიტიკური ვითარების შეცვლის შემდეგ, აქ აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებები გავრცელდა. ამასთანავე, თურქული სახელწოდებებიც გავრცელდა თურქულენოვანი ყარაჩაელების მეშვეობით. ამიტომაც არის, რომ მდინარეთა სათავეებისა და მთების ერთი ნაწილის სახელწოდებები აფხაზურად ან თურქულად იხსნება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დალის ხეობის თანამედროვე ტოპონიმიის მთავარი მახასიათებელია მისი ენობრივი მრავალფეროვნება: ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების წყაროებში მოხსენიებული ტოპონიმები ძირითადად სვანური წარმოშობისაა (კოდორი, ბოკერი, შიყერი, ჩხალთა, დალი და სხვ.), მაგრამ მთელი რიგი საზაფხულო საძოვრების, მთების, სოფლებისა და მდინარის სახელები (არმუა, აკაკუა, აბაყუა, ანუყუა, ქუთარბა, მრამბა, აძმახ, სირბისტა, არგუნ, დოუჩ, აძგარა, სოიფსარა და სხვ.) აფხაზური წარმოშობისაა. სვანურია სოფლებისა და უღელტეხილების სახელები, მთლიანად მიკროტოპონიმია, ჰიდრონიმების უმრავლესობა, დრიმონიმები, ოიკონიმები (გენწვიში, ტიიშ, გვანდრა, ომარიშალი, ნაჰარვი, კოდორი, ხუარაში, ლათა, საკენი, გვანდრალა და სხვ.).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

აგათია სქოლასტიკოსი. (1936). გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ადანგე, (1975). ადანგე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 1. თბილისი:

ალფენიძე, მ. (2008). ზემო აფხაზეთი: ბუნება, რესურსები, გარემო. აფხაზეთის მეცნიერებათა .აკადემია, შრომათა კრებული, ტ. 2. ზემო აფხაზეთი. თბილისი: ს. ს. ,,კარტოგრაფია“.

ასლანიშვილი, ი. (1933), აფხაზეთის სვანეთი. 1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა. ტფილისი.

აფხაზავა, ი. (1983). მარუხი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6. თბილისი.

აფხაზავა, ი. (1984). საკენი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8. თბილისი.

აფხაზავა, ი. (1987). ჩხალთა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11. თბილისი.

აფხაზავა, ი. (2023). კოდორი, ენციკლოპედია ,,საქართველო“, ტ. 5. თბილისი.

ბარდაველიძე, ვ. (1933), აფხაზეთში (დალში) მოსახლე სვანების ეთნოგრაფიული მასალები, შეგროვებული 1933 წ. ექსპედიციის დროს. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ვერა ბარდაველიძის ფონდი.

ბატონიშვილი ვახუშტი, (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“.

გასვიანი, გ. (1991). ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება“.

გვანდრა, (1978), გვანდრა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3. თბილისი:

ზარდალიშვილი, გ. (1949). კლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების დადგენისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXVI. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 143-150.

თეოდოსი განგრელი, (1941). გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კოპალიანი, რ., უგულავა, ვ., ჯობავა, ტ. (2008). ზემო აფხაზეთში გავრცელებული ხეხილოვანი კულტურების განვითარების პერსპექტივები. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ტ. 2. ზემო აფხაზეთი. თბილისი: ს. ს. ,,კარტოგრაფია". გვ. 96-99.

მამალაძე, ჯ. (2008). ზემო აფხაზეთის მოსახლეობის დემოგრაფიული სურათი. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ტ. 2. ზემო აფხაზეთი. თბილისი: ს. ს. ,,კარტოგრაფია". გვ. 78-83.

მარგიანი, ქ. (1998). დალის სვანეთის ტოპონიმია. ,,ქართველური ონომასტიკა", ტ. I. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

მარგიანი, ქ. (2010). დალის ხეობის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VIII, თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მარგიანი, ქ. (2012). სვანეთის მიკროტოპონიმიის ლექსიკური ანალიზი. ,,ქართველური ონომასტიკა", ტ. V. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

მარგიანი, ქ. (2013ა). ნანათესაობითარი გეოგრაფიული სახელები სვანურში (დალის ხეობის მონაცემთა მიხედვით). კრებ. ,,ქართველური ონომასტიკა", ტ. VI. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

მარგიანი, ქ. (2013ბ). დალის ხეობის ტოპონიმიის სტრუქტურული ანალიზი. კრებ. ,,ქართველური ონომასტიკა", VI. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

მარგიანი ქ. (2017). დალის ხეობის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის, ,,ქართველური ენათმეცნიერება", ტ. IV. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

მარუაშვილი, ლ. (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბილისი: გამომცემლობა ,,ცოდნა".

მიბჩუანი, თ. (1986). მეგობრობის სათავეებთან. თბილისი: გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო".

მიბჩუანი, თ. (1989). დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მუსხელიშვილი, დ. (1980). საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, წ. II. თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება".

პაკელიანი, დ. (1937). დალი, გაზ. ,,საბჭოთა აფხაზეთი", 1937 წ. 10 ოქტომბერი.

სანაძე, მ. (2020). ქართლის მეფე დარჩილი (ვახტანგ გორგასლის ვაჟი) და მისი ცხოვრების ამსახველი ქრონიკები. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქალდანი, მ. (1999). მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის, ჟურნ. ,,აფხაზეთის მოამბე", #2-3.

ქვაჩაკიძე, რ. (2008). მდ. კოდორის ხეობის მცენარეულობა. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ტ. 2. ზემო აფხაზეთი. თბილისი: ს. ს. ,,კარტოგრაფია". გვ. 34-43.

ყაუხჩიშვილი, თ. (1957). სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩანტლაძე, ი., მარგიანი, ქ., საღლიანი, მ., მარგიანი-სუბარი, ქ., იოსელიანი, რ. (2010). კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ). მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის. თბილისი: გამომცმლობა „გლობალ პრინტი".

ჩართოლანი, შ., ცინდელიანი, მ. (2010). კოდორის ხეობის ,,დალ"-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი: გამომცემლობა ,,მწიგნობარი".

ცხადაია, პ., ხორავა, ბ. (2016). აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი: გამომცემლობა ,,საარი".

ჭოლოკავა, ა. (2008). მდ. კოდორის ხეობის აუზის ცხოველთა სამყარო. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ტ. 2. ზემო აფხაზეთი. თბილისი: ს. ს. ,,კარტოგრაფია". გვ. 44-57.

ჭუმბურიძე, ზ. (2007). სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი). შემდგენლები: ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე ზ. ჭუმბურიძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა ,,პეტიტი".

ხვისტანი, (2018). კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მდინარე კოდორის ზემო წელი – ისტორიული მისიმიანეთი. თბილისი: გამომცემლობა ,,მერიდიანი".

ხორავა, ბ. (2008). დალი. ისტორიის ფურცლები. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ტ. 2. ზემო აფხაზეთი. თბილისი: ს. ს. ,,კარტოგრაფია". გვ. 7-17.

ხორავა, ბ. (2011). რუსული მმართველობის დამყარება წებელდაში, წგნ. ბ. ხორავა, აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე. თბილისი: გამომცემლობა ,,უნივერსალი". გვ. 127-137.

ხორავა, ბ. (2014). აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა. თბილისი: გამომცემლობა ,,არტანუჯი".

ხორავა, ბ. (2021ა). აფხაზთა მეფეების საეკლესიო პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში, წგნ.: ბ. ხორავა, ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებით, თბილისი: გამომცემლობა: ,,საარი". გვ. 34-43.

ხორავა, ბ. (2021ბ). აფხაზეთის სამთავრო 1810-1864 წლებში, წიგნ. აფხაზეთი საქართველოა. თბილისი: გამომცემლობა ,,მერიდიანი".

ხორავა, ბ. (2024), 1924 წლის აგვისტოს აჯანყება აფხაზეთში, კრებ. 1924 წლის აჯანყების მე-100 წლისთავისთვის. ანტისაბჭოთა მოძრაობა აფხაზეთში (1921-1924). თბილისი: გამომცემლობა ,,საარი". გვ. 36-67.

ჯიქია, ლ., ესაკია, გ., აპლაკოვი, ვ., ცინარიძე, თ. (2008), ზემო აფხაზეთში მესაქონლეობის განვითარებისა და მისი პროდუქციის შენახვა-გადამუშავების პერსპექტივა. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომათა კრებული, ტ. 2. ზემო აფხაზეთი. თბილისი: ს. ს. ,,კარტოგრაფია". გვ. 89-95.

Margiani, K. (2018). Dali Gorge – Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics (according to the speech of Kodori Gorge population). Materials of the III International Scientific-Practical Conference "Integration of the Scientific Community to the Global Challenges of our Time", Vol. I, Kyoto, Japan.

Воронов Ю. Н., (1978). В мире архитектурных памятников Абхазии, Москва: «Искусство».

Даль А. В., (1882), Проэкт Военно-Сухумской дороги – от города Сухума через Главный Кавказский хребет в Кубанскую область. "Записки КОИРГО", т. 14. Тифлис.

Кодор, (1895). Энциклопедический словарь, издатели Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, т. XV, Санкт-Петербург.

Нордман А., (2020). Путешествие по Закавказскому краю. Введением и примечаниями снабдили С. Бахиа-Окруашвили и Б. Хорава. Тбилиси: изд. «Меридиани».

REFERENCES

Agatha the Scholastic, (1936). Georgika. Byzantine writers' accounts of Georgia, Vol. 3. The Greek text was published with a Georgian translation and explanations by S. Kaukhchishvili. Tflisi: Tflisi State University Publishing.

Adange, (1975). Georgian Soviet Encyclopedia, Vol. 1. Tbilisi.

Alfenidze, M. (2008). Zemo Abkhazeti: buneba, resursebi, garemo [Upper Abkhazia: Nature, Resources, Environment]. The Abkhazian National Academy of Sciences. Zemo Abkhazeti. The collection of clauses, vol. 2. Tbilisi: Publishing “Kartograpia".

Aslanishvili, I. (1933). Abkhazetis svaneti. 1926 wlis mogzaurobis mimokhilva [Svaneti of Abkhazia. Review of the 1926 trip]. Tfilisi.

Afkhazava, I. (1983). Marukhi, Georgian Soviet Encyclopedia, Vol. 6. Tbilisi.

Afkhazava, I. (1984). Sakeni, Georgian Soviet Encyclopedia, Vol. 8. Tbilisi.

Afkhazava, I. (1987). Chkhalta, Georgian Soviet Encyclopedia, Vol. 11. Tbilisi.

Afkhazava, I. (2023). Kodori, Encyclopedia ,,Saqartvelo“, Vol. 5. Tbilisi.

Bardavelidze, V. (1933). Abkhazetshi (Dalshi) mosakhle svanebis etnografiuli masalebi, shegrovebuli 1933 w. Eqspediciis dros [Ethnographic materials of the Svans living in Abkhazia (Dali), collected during the 1933 expedition]. Archives of the Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology, Vera Bardavelidze Foundation.

Batonishvili Vakhushti, (1973). Arwera samefosa saqartvelosa [Description of the Kingdom of Georgia], ,,Kartlis Ckhovreba“, Vol. 4, Tbilisi: Publishing ,,Sabwota saqartvelo“.

Gasviani, G. (1991). Narkvevebi shua saukuneebis svanetis istoriidan [Essays from the History of Medieval Svaneti]. Tbilisi: Publishing ,,Mecniereba“.

Gvandra, (1978). Georgian Soviet Encyclopedia, Vol. 3. Tbilisi.

Zardalishvili, G. (1949). Kluchoris raionis zogierti geografiuli sakhelwodebis dadgenisatvis [To determine some geographical names of the Klukhori district]. Proceedings of Tbilisi State University, Vol. 36. Tbilisi: Tbilisi State University Publishing.

Theodosius of Gangra, (1941). Georgika. Byzantine writers' accounts of Georgia, Vol. 4, Part. I. The Greek text was published with a Georgian translation and explanations by S. Kaukhchishvili. Tbilisi: Tbilisi State University Publishing.

Kopaliani, R., Ugulava, V., Jobava, T. (2008). Zemo abkhazetsci gavrcelebuli khekhilovani kulturebis ganvitarebis perspeqtivebi [Prospects for the development of fruit crops widespread in Upper Abkhazia]. The Abkhazian National Academy of Sciences. Zemo Abkhazeti. The collection of clauses, vol. 2. Tbilisi: Publishing “Kartograpia".

Mamaladze, J. (2008). Zemo abkhazetis mosakhleobis demografiuli surati [Demographic picture of the population of Upper Abkhazia]. The Abkhazian National Academy of Sciences. Zemo Abkhazeti. The collection of clauses, vol. 2. Tbilisi: Publishing "Kartograpia".

Margiani, K. (1998). Dalis Svanetis Toponimia [Toponymy of Dali Svaneti]. Kartvelian Onomastics, I. Tbilisi: Tbilisi State University Publishing.

Margiani, K. (2010). Dalis kheobis istoriuli da tanamedrove toponimia [Historical and modern Toponimy of Dali Gorge]. Proceedings of Sokhumi State University, vol. 8, Tbilisi: Publishing House „Meridiani".

Margiani, K. (2012). Svanetis mikrotoponimiis leqsikuri analizi [Lexical analysis of Svaneti microtoponymy]. Kartvelian Onomastics, 5. Tbilisi: Publishing „Universali".

Margiani, K. (2013a). Relative geographical names in Svanuri (based on the Dali Gorge data). Kartvelian Onomastics, 6, Tbilisi: Tbilisi State University Publishing.

Margiani, K. (2013b). Dalis kheobis toponimiis struqturuli analizi [Structural analysis of the Toponymy of the Dali Gorge]. Kartvelian Onomastics, 6, Tbilisi: Publishing „Universali".

Margiani, K. (2017). dalis kheobis zogierti t'op'onimis ist'oria-et'imologiisatvis [For the history and etymology of some toponyms of the Dali Gorge]. Scientific Research Centre of Kartvelian Onomastics, Vol. 4. Tbilisi State University Publishing.

Margiani, K. (2018). Dali Gorge – Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics (according to the speech of Kodori Gorge population). Materials of the III International Scientific-Practical Conference "Integration of the Scientific Community to the Global Challenges of our Time", Vol. I, Kyoto, Japan.

Maruashvili, L. (1964). Saqartvelos fizikuri geografia [Physical geography of Georgia]. Tbilisi: Publishing ,,Codna".

Mibchuani, T. (1986). Megobrobis sataveebtan [At the origins of friendship]. Tbilisi: Publishing ,,Sabwota Saqartvelo".

Mibchuani, T. (1989). Dasavlet saqartvelos qartvel mtielta etnogenezis, gansakhlebisa da kulturis istoriidan [From the history of ethnogenesis, settlement and culture of the Georgian mountaineers of Western Georgia]. Tbilisi: Tbilisi University Publishing.

Muskhelishvili, D. (1980). Saqartvelos istoriuli geografiis dziritadi sakitkhebi, Vol. II [Main issues of the historical geography of Georgia]. Tbilisi: Publishing ,,Mecniereba".

Pakeliani, D. (1937). Dali [Dali], Newspaper: ,,Sabwota Abkhazeti", 1937, October 10.

Sanadze, M. (2020). Kartlis mefe Darchil (Vakhtang Gorgaslis vaji) da misi ckhovrebis amsakhveli qronikebi [The King of Kartli of the 6 th c. Darchil (The Son of Vakhtang Gorgasali) and the Chronicles Describing His Life]. Tbilisi: Publishing the University of Georgia.

Qaldani, M. (1999). Mivsianetisa da mivsianta tomis vinaobis sakitkhisatvis [On the issue of the identity of the Mivsian region and the Mivsian tribe], Journal: ,,Abkhazetis moambe", #2-3.

Qvachakidze, R. (2008), Md. Kodoris kheobis mcenareuloba [Vegetation of the Kodori River Gorge]. The Abkhazian National Academy of Sciences. Zemo Abkhazeti. The collection of clauses, vol. 2]. Tbilisi: Publishing "Kartograpia".

Kaukhchishvili, T. (1957). Strabonis geografia. Cnobebi saqartvelos shesakheb [Strabo's Geography. Information about Georgia]. Tbilisi: Publishing of the Georgian Academy of Sciences.

Chantladze, I. Margiani K. Margiani-Subari K. Sagliani M. Ioseliani R. (2010). Kodoruli qronikebi (gamokvlevebiturt) [Kodorian Cronicles (With research)]. Tbilisi: Publishing "Global-printi".

Chartolani, Sh., Cindeliani, M. (2010). Kodoris kheobis ,,Dal"-is mkharis arqeologiuri dzeglebi [Archaeological monuments of the "Dal" side of the Kodori Gorge]. Tbilisi: Publishing ,,Mwignobari".

Ckhadaia, P., Khorava, B. (2016). Abkhazetis geografiuli sakhelwodebani [Geographical names of Abkhazeti]. Tbilisi: Publishing ,,Saari".

Wolokava, A. (2008). Md. Kodoris kheobis auzis ckhovelta samyaro [The animal world of the Kodori River Valley basin]. An outlook on the development of cattle breeding and storage-processing of its production in Zemo Abkhazeti. The Abkhazian National Academy of Sciences. Zemo Abkhazeti. The collection of clauses, vol. 2. Tbilisi: Publishing "Kartograpia".

Chumburidze, Z. Nijaradze, L. Kurdadze R. (2007). Svanuri Ena [Svan language], Tbilisi: Publishing "Petiti".

Khvistani, R. (2018). Kulturuli memkvidreoba saqartvelos okupirebul teritoriebze. Mdinare kodoris zemo weli – istoriuli misimianeti [Cultural Heritage in the Occupied Territories of Georgia. The upper reaches of the Kodori River – historical Misimianeti]. Tbilisi: Publishing ,,Meridiani".

Khorava, B. (2008). Dali. Istoriis furclebi [Dali. Pages of History]. An outlook on the development of cattle breeding and storage-processing of its production in Zemo Abkhazeti. The Abkhazian National Academy of Sciences. Zemo Abkhazeti. The collection of clauses, vol. 2. Tbilisi: Publishing house "Kartograpia".

Khorava, B. (2011). Rusuli mmartvelobis damyareba webeldashi [Establishment of Russian rule in Tsebelda], Book: B. Khorava, The abolition of the Principality of Abkhazia and Mikheil Sharvashidze. Tbilisi: Publishing ,,Universali".

Khorava, B. (2014). apkhazta 1867 ts'lis muhajiroba [The Abkhazian muhajirity of 1867]. Tbilisi: Publishing ,,Artanuji".

Khorava, B. (2021ა). Abkhazta mefeebis saeklesio politika chrdiloe kavkasiashi [Church politics of the Abkhaz Kings in the North Caucasus], Book: B. Khorava, A country full of faith in Christ. Tbilisi: Publishing ,,Saari".

Khorava, B. (2021ბ). Abkhazetis samtavro 1810-1864 wlebshi [The Principality of Abkhazia in 1810-1864], Book: Abkhazia is Georgia. Historical Perspective. Tbilisi: Publishing ,,Meridiani".

Khorava, B. (2024). 1924 wlis agvistos ajanyeba abkhazetshi [The Uprising of the year 1924 august in Abkhazia], Collection: For The 100th anniversary of the 1924 Uprising. Anti-Soviet movement in Abkhazia (1921-1924. Tbilisi: Publishing ,,Saari".

jikia, l., esak'ia, g., ap'lak'ovi, v., tsinaridze, t. (2008). zemo apkhazetshi mesakonleobis ganvitarebisa da misi p'roduktsiis shenakhva-gadamushavebis p'ersp'ekt'iva [An outlook on the development of cattle breeding and storage-processing of its production in Zemo Abkhazeti]. The Abkhazian National Academy of Sciences. Zemo Abkhazeti. The collection of clauses, vol. 2. Tbilisi: Publishing house "Kartograpia".

Voronov I. N. (1978). V mire arkhitekturnikh pamyatnikov Abkhazii [In the world of architectural monuments of Abkhazia], Moscow: Publishing «Isskusstvo».

Dal' A. V. (1882). Proekt Voyenno-Sukhumskoy dorogi – ot goroda Sukhuma cherez Glavnyy Kavkazskiy khrebet v Kubanskuyu oblast' [The Sukhumi Military Road project - from the city of Sukhumi through the Main Caucasian Ridge to the Kuban Region], "Записки КОИРГО", Vol. 14. Tiflis.

Kodor. (1895). Enciklopedichesky slovar, izdateli F. A. Brokgauz, I. A. Efron т. XV, [Encyclopedic Dictionary, publishers F. A. Brockhaus, I. A. Efron]. Sankt-Peterburg.

Nordman A. (2020). Puteshestvie po zakavkazskomu krayu [Traveling through the Transcaucasian region]. Tbilisi: Publishing ,,Meridiani".